საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თოფჩიშვილი როლანდ ანდრიას ძე



რ. თოფჩიშვილი

თოფჩიშვილი როლანდ ანდრიას ძე (დ. 25. IV. 1949, სოფ. დიღომი), ეთნოლოგი, ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (2003). დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1972). 1993-იდან იყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის მთ. მეცნიერი თანამშრომელი და გვარების შემსწავლელი საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელი. ამავე ინ-ტში 2006-იდან ხელმძღვანელობს კავკასიის ეთნოლოგიის განყ-ბას. პედ. საქმიანობას ეწეოდა თბილ. ი. ჭავჭავაძის სახ. უნ-ტში.

2006-იდან არის თსუ-ის პროფესორი, ხელმძღვანელობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ტის ეთნოლოგიის სასწ.-სამეცნ. ინ-ტს. ეთნოლოგიაში არის 8 სახელმძღვანელოსა და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (აქედან 41 წიგნია). იკვლევს საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიის კარდინალურ პრობლემებს. მისი კვლევის სფეროა: საქართვ. და კავკასიის მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესები; საქართვ. მოსახლეობის ისტორიული დემოგრაფია; უცხო ეთნიკურ ერთეულთა საქართველოში დასახლებისა და ქართველებთან მათი ურთიერობის პრობლემები; ოსთა საქართველოში მიგრაცია და ქართულ-ოსური კულტ.-ისტორიული ურთიერთობის საკითხები; ქართული გვარსახელების ისტორიულ-ეთნოლოგიური ასპექტები; ქართველთა რელიგიურ-კონფესიური ჯგუფები; ქართველთა ეთნიკური ისტორია; ქართველთა ისტ.-ეთნოგრაფიული ჯგუფები; კავკასიის ეთნოლოგია; ეთნოსის თეორია; თეორ. ეთნოლოგია; თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ყოფა და კულტურა. თ-ის სამეცნ. გამოკვლევები და დასკვნები საფუძვლად დაედო რელიგ.-კონფესიური მიზეზით გვარშეცვლილ და

ეროვნებადაკარგულ ქართველთა გვარსახელებისა და ეროვნების აღდგენას. 1998 აირჩიეს გელათის მეცნ. აკად. წევრად.

თხზ.: საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997; ქართული გვარსახელების ისტორიიდან, თბ., 2003; ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008; საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბ., 2011; სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან, თბ., 2013; აფხაზურ-ადიღეური ეთნიკური ერთობების ეთნოგენეზის შესახებ, თბ., 2015; დვალეთი და დვალები: საქართველოს დაკარგული ისტორიულეთნოგრაფიული მხარე და ქართველთა გამქრალი ეთნოგრაფიული ჯგუფი, თბ., 2016; ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში, თბ., 2017; საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017.